№1221 2015 წლის 11 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისათვის - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის მის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის გარეშე, იჯარის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს მიეცეს თანხმობა, რომ საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციას, აღნიშნული სამუშაოების განხორციელებისათვის საყრდენი

პუნქტის მოწყობის მიზნით, აუქციონის გარეშე, იჯარის უფლებით გადასცეს მის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება - ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელ გუდაურში მდებარე 350.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №74.06.11.606), ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ვადით, თვიური საიჯარო ქირით, 163 (ას სამოცდასამი) ლარად.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**